დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N9

06.09.2019 წელი

ქ.დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 6 სექტემბერს 11 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები;

1 ; სოფიო ასლამაზაშვილი

2; ფაიგ ისმაილოვი

3; ემილ იბრაგიმოვი;

4. აფთანდილ მუსაევი;

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის 2 წევრი: რამიზ რამაზანოვი და დავით მენაბდიშვილი

კომისისის სხდომას ესწრება კომისიის 4 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმჯდომარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი; სოფიო ასლამაზაშვილი

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. მოისმინეს;

სოფიო ასლამაზაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ, სხვა შემოსავლების კოდით გათვალისწინებული „პროცენტები“ 80,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 200,0 ათასი ლარის ოდენობით (ს/ს „ლიბერთ ბანკში“ გათვალისწინებულ თანხაზე დარიცხული პროცენტი) და სხვა შემოსავლები 2525,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 2645,0 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული ზრდა 120,0 ათასი ლარი მიემართოს:

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 0102 „მუნიციპალიტეტის მერიის საქონელი და მომსახურების“ მუხლი 614,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 660,2 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული ზრდა 46,0 ათასი ლარი მიმართული იქნეს შემდეგი ხარჯების დაფარვისათვის.

ა). კომუნალური გადასახადების დაფარვისათვის (ელ.ენერგიის, ბუნებრივი აირის, სასმელი წყლის და ინტერნეტის ხარჯები) 33,4 ათასი ლარის ოდენობით.

ბ).ტრანსპორტით მომსახურების ხარჯები ხელშეკრულების ღორებულების 10%-ის გათვალისწინებით 4,1 ათასი ლარის ოდენობით.

გ).ტრანსპორტით მომსახურების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით (2019წლის XI-XII და 2020 წლის) 70,0 ათასი ლარი, მათ შორის 2019 წლის დაფარვისათვის 8,5 ათასი ლარი, ხოლო 2020 წლის მომსახურებისათვის 61,5 ათასი ლარი. ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 060201 „ავადმყოფთა სოციალური დაცვის“ მუხლი 90,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 060203 „სოციალურად დაუცველთა ოპერაციების დაფინანსება“ 130,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 190,0 ათასი ლარის ოდენობით.

-მე-17 მუხლით დამტკიცებული ასიგნებები ორგანიზაციული კოდი 0601 „ ააიპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სუბსიდირება განისაზღვროს საკუთარი შემოსავლებიდან 4,0 ათასი ლარის ოდენობით (ტუბერკულიოზის,აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენის პროგრამის განსახორციელებლად.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 20090,3 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ემილ იბრაგიმოვმა, აფთანდილ მუსაევმა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

1. **დაადგინეს** ;

წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე; სოფიო ასლამაზაშვილი

მდივანი; თინათინ ციხელაშვილი

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის სხდომებში მონაწილეობის აღრიცხვის ფურცელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. სოფიო ასლამაზაშვილი
2. ქემილ იბრაგიმოვი
3. ავთანდილ [illegible]
4. ნინო [illegible]
5.
6.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

1. [illegible]
2. [illegible]
3.

საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარე ს. ასლამაზაშვილი

06.09.2019წ.